სიმონ ჯანაშიას ქ. №12/16 - აკაკი ხორავას ქ. №14

(ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა)

საკვლევი ტერიტორია ისტორიული ვერეს ტერიტორიაზე - ხორავასა და ჯანაშიას ქუჩების შესაყართან მდებარეობს. ხორავასა და ჯანაშიას ქუჩების განაშენიანება, ჯერ კიდევ, 1990-იანი წლების დასაწყისში ორ-სამსართულიანი იყო და ინარჩუნებდა XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის თბილისისათვის დამახასიათებელ სტრუქტურას. ბოლო ათწლეულებში აგებულმა ახალმა შენობებმა ქალაქის ისტორიულ-გეგმარებით სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეტიანა. ამ პროცესმა ძველი ქალაქის განაშენიანების დიდი ნაწილი შეიწირა.



თბილისის პანორამის ფრაგმენტი - ვერა. 1910-იანი წლები.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ვერე იყო, ამ დროისთვის უკვე "გაევროპერებული" თბილისის ნაწილი, როგორც სივრცით-არქიტექტურული, ისე განაშენიანების მასშტაბის თვალსაზრისით, რომელიც ბოლო ათწლეულებში .

XIX საუკუნეში თბილისის ჩრდილო-დასავლეთით, დღევანდელი ვერის უბნის ტერიტორიაზე რამდენიმე სოფლური დასახლება ჩნდება – ვარდისუბანი და ვერე. ვარდისუბანს ეკავა ვარაზისხევის მარჯვენა მხარე, მოიცავდა დღევანდელი

მელიქიშვილის მიმდებარე რამდენიმე ქუჩას (მათ შორის ხორავას, ჯანაშიას, ტატიშვილის, თარხნიშვილის ქუჩებს) და სიმიონოვკის დასახლებამდე აღწევდა.

თბილისის სწრაფი ზრდის პროცესში 1880-იანი წლების დასაწყისში ქალაქი თანდათან იერთებს სოფლებს ვარდისუბანსა და ვერეს. XIX საუკუნის შუა ხანებში ეს მიდამოებში სააგურე ქარხნებით იყო გაშენებული (აქედან მომდინარეობდა ბელინსკის ქუჩის თავდაპირველი სახელი, რომელსაც აგურის ქუჩა ეწოდებოდა, ხოლო ბაქრაძის ქუჩას აგურის შესახვევი).



თბილისის 1944 წლის რუკა

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში ტერიტორია მოსკოვის ქუჩასა და ვაკეს შორის უკვე საბინაო მშენებლობის ერთ-ერთი მთავარი უბანთაგანია. 1880-1900-იან წლებიდან აქ მშენებლობა სულ უფრო და უფრო ინტენსიური ხდება. ღარიბი ფენების საცხოვრებელი სახლებს და სოფლური ტიპის დასახლებას თანდათან ენაცვლება ორ-სამსართულიანი შემოსავლიანი და კერძო საცხოვრებელი

სახლები. ამ დროიდან ჩაეყარა საფუძველი ახალი ქუჩების ქსელსაც – ვარდისუბნის (ამჟამინდელი ჯანაშიას), მლეთის (ხორავას), კობის (თარხნიშვილის), ყაზბეგის (ტატიშვილის), გუბინის (ბარნოვის) და სხვა ქუჩებს. 1867 წლის თბილისის რუკაზე ჩანს, რომ ამ პერიოდში ვარდისუბანი ჯერ კიდევ სოფლური ტიპის დასახლებაა, ქაოტურად მიმოფანტული განაშენიანებით. ქუჩათა ქსელი რუკაზე პირობითადაა აღნიშნული და ისიც მხოლოდ საუფლისწულო (პეტრიაშვილის) და მატინოვის (შანიძის) ქუჩებს შორის მოქცეული მონაკვეთი.



თბილისის 1867 წლის რუკა



თბილისის 1902 წლის რუკა

1902 წლის რუკაზე უკვე ყველა ქუჩა ჩამოყალიბებულია. დღევანდელი ხორავას ქუჩის ადგილზე მლეთის შესახვევია, რომელიც საუფლისწულო (ამჟამინდელი პეტრიაშვილის) ქუჩიდან იწყება ჰკვეთს მატინოვის (შანიძის), ვარდისუბნის (ჯანაშიას) ქუჩებს და დღევანდელ ხორავას შესახევთან წყდება. პეტრიაშვილის ქუჩის დასაწყისში – ამჟამინდელი პეტრიაშვილის და მელიქიშვილის ქუჩების შესაყართან აღნიშნულია, 1896 წ. არქიტექტორ ა. ოზეროვის პროექტით აგებული, საუფლისწულო უწყების ღვინის სარდაფი. ვარდისუბნის (ჯანაშიას), კობის (თარხნიშვილის), ყაზბეგის (ტატიშვილის) და მათი მიმდებარე ქუჩების გეგმარება უცვლელად შეესაბამება დღევანდელს. XX საუკუნის 20-იანი წლებისთვის ვერეცა და ვარდისუბანიც ურბანულად უკვე ჩამოყალიბებულია და თბილისის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს, როგორც სივრცით-

არქიტექტურული, ისე განაშენიანების თვალსაზრისით. ამ პერიოდისაა შენობების დიდი ნაწილი პეტრიაშვილის, ჯანაშიას, ხორავას, თარხნიშვილის, ტატიშვილის და სხვა ქუჩებზე – ბევრი მათგანი დღესაც მაღალი მხატვრული ღირებულებით გამოირჩევა და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქუჩების მხატვრულ-არქიტექტურული სახის შექმნაში.



ხორავას ქუჩა – მშენებარე შენობის მიმდებარედ.

ჯანასიას და ხორავას ქუჩების საერთო არქიტექტურულ მასშტაბს ორ და სამსართულიანი შენობები განსაზღვრავდა. 1910-იანი წლების დასაწყისის ფოტოზე რამდენიმე შენობა კარგად იკითხება - მათ შორის შეგვიძლია გამოვარჩიოთ მაღალი სამსართულიანი, თეთრად შეღებილი შენობა ხორავასა და თარხნიშვილის ქუჩის კუთხესთან, რომელშიც ბოლო დრომდე სამშობიარო ფუნქციონირებდა. (შენობა 2013 წელს დაანგრიეს და მის ადგილზე მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობა მიმდინარეობს). იქვე იკითხება

ხორავას ქუჩის განაშენიანების რიგიც - კარგად გაირჩევა ხორავას ქ. №5, №7 და ნაწილობრივ №9 სახლები. №5 და №7 - ორსართულიანი შეულესავი აგურის შენობებია, ფოტოზე ჩანს დღემდე თითქმის უცვლელად მოღწეული ღიობების რიტმი. მკაფიოდ იკითხება №5 სახლის რიზალიტით გამოყოფილი ცენტრი, რომელიც დამატებით აქცენტირებულია ტიმპანით და შენობის ტანში შეჭრილი ღია სივრცით, რომელიც ლითონის შეკიდულ აივნზე გადის. ამ ტიპის შენობები განსაზღვრავდა უბნის არტიტექტურულ სახესა და ზომიერ, თანაბარ მასშტაბს.



ხორავს ქუჩის განაშენიანება. 1910-იანი წლების ფოტო.

მიუხედავად იმისა, რომ ვერა ქანობ ფერდზე გაშენდა, კვარტლები მეტ-ნაკლებად სწორად არის დასაზღვრული და რეგულარული ხასიათი აქვს, კვარტლებსშიდა განაშენიანება კი რამდენადმე სტიქიურია. ამ ქუჩებზე ძველი შენობების უმეტესობა დღესაც კარგი პროპორციებით, შეულესავი აგურის წყობით ან არქიტექტურული პროფილებით დამუშავებული ფასადებით იქცევს ყურადღებას.

აქ არსებული, XIX-XX საუკუნეების, არქიტექტურის ნიმუშებში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია შიდა ეზოების სივრცით-კომპოზიციური თავისებურებები. ზოგიერთ შენობასა ან შენობათა ჯგუფში დღესაც ჩანს ამ კულტურული არეალისათვის წარსულში დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც თბილისის განვითარების გარკვეულ ეტაპს ასახავს. თუ შენობათა ქუჩისპირა ფასადზე

ევროპული სტილია გამოყენებული, ეზოს სივრცითი გადაწყვეტა და სტრუქტურა აქაც ეროვნულ ტრადიციას მისდევს.



ხორავას ქ. №5-7

ღირებულია ხორავას ქ. №№5-7 და №12 სახლები, ჯანაშიას ქ. №№14, 13, 15, 17 და სხვა. ძეგლთადაცვითი თვალსაზრისით ეს შენობები ჩვენ დღესაც გვაძლებს ინფორმაციას ამ ქუჩების ისტორიულ და მხატვრულ-არქიტექტურულ სახეზე.

უბნის შესაბამისი მასშტაბითა და კარგი აგურის წყობით გამოირჩევა სახლი ხორავასა და ჯანაშიას ქუჩების კუთხესთან საკვლევი ტერიტორიის მოპირდაპირედ.

ქუჩებზე შემორჩენილია სხვადასხვა ხელობის ოსტატების ნახელავი: აივნების ხის ჭვირული მოაჯირები, რკინის ჭშკრები, წინფრები, სადარბაზო კარის

გაფორმების და აივნების ლითონის დეტალების ნიმუშები. დღეს სახეზეა ყველა იმ ნიშნის რღვევა, რაც ინდივიდუალურ იერს ანიჭებდა თბილისს.



ხორავას ქ. №12;



ჯანაშიას ქ. №14

ორსართულინი სახლი, რომელიც ტორსოს ფასადით ესაზღვრება საკვლევ შენობას (ჯანასიას ქ. №14) – დღეს მძიმე მდგომარეობაშია, თუმცა მისი ფასადი საგულისხმო დეტალებს შეიცავს: ლითონის წინფრა და კითონის დეკორატიული ცხაურით გაფორმებული ძველი სადარბაზოს ხის კარი.

დღემდე ეს ადგილი საცხოვრებელ ზონას წარმოადგენს, თუმცა უკანასკნელ წლებში მან შეითავსა სავაჭრო ფუნქციაც, რაც ძირითადად შენობების პირველ სართულებზე განთავსებული კომერციული ობიექტებით შემოიფარგლება – გაჩნდა კეფეები, მაღაზიები. მომავალში მისი საზოგადოებრივ-საქმიანი ფუნქციის გაზრდა ბუნებრივად გამოიწვევს ქუჩების გადატვირთვას, რასაც საგანგებო მართვა ესაჭიროება.



ჯანაშიას ქუჩა.

უკანასკნელ წლებში სწრაფი ნგრევითა და ახალი, ურბანულ-არქიტექტურულად გაუაზრებელი მშენებლობებით გამოწვეულმა ცვლილებებმა თვალშისაცემად შეცვალა ხორავას და ჯანაშიას ქუჩების მასშტაბი. ეს პროცესი თანდათან არღვევს უბნის განაშენიანების ისტორიულად ჩამოყალიბებულ კამერულობას, ურბანულ კონტექსტს და შენობებს შორის მაშტაბურ წონასწორობას.

1990-იან წლებში დაწყებულმა მსხვილმასშტაბიანმა მშენებლობებმა არსებითად გაანადგურა ხორავას, ჯანაშიას, ბარნოვისა და ტატიშვილის ქუჩებით მოსაზღვრული კვარტალი - აქ განხორციელებულმა უპასუხისმგებლო, არქიტექტურულად სრულიად გაუმართლებელმა ჩარევამ მოსპო უბნის განვითარების ჯანსაღი პოტენციალი. ძეგლთა დაცვითი პოზიციის

თვალსაზრისით ვითარება სულ უფრო და უფრო რთულდება და პრობლემა კომპლექსურ და გადაუდებელ გადაწყვეტას მოითხოვს.



საპროექტო ტერიტორია შენობების დემონტაჟამდე.

ჯანაშიას ქ. №12/16 და აკაკი ხორავას ქ. №14-ში მდებარე შენობების დემონტაჟი 2013 წელს განხორციელდა და მათ ადგილას რამდენიმე სართულიანი, მსხვილმასშტაბიანი საცხოვრებელი სახლი აიგო, რომლის პირველი სართული კომერციული საქმიანობისთვის არის განკუთვნილი.

რაც შეეხება დღეს არსებული საცხოვრებელი კორპუსის ადგილზე ადრე არსებულ შენობებს, მათ არქიტექტურული ღირებულება არ გააჩნდათ - ეს იყო XX საუკუნის პირველ ათწლეულებში და შუა წლებში აგებული სახლები ქუჩების განაშენიანების შესაბამისი მასშტაბით, რომელთაგან ერთ-ერთი ქუჩების შესაყართან ერთსართულიანი უსახური ფასადებით გამოდიოდა, ხოლო მისი ეზოს ნაწილი ორ სართულიანი იყო. სახლს ჰქონდა ხის აივნებიანი უსახური

ეზოს ფასადი, რომელიც „П“-ებრი გეგმარების გამო სამი მხრიდან შემოწერდა სივრცეს. ეზოს იერი ძალიან შელახული იყო.

სახლი №14 – ორსართულიანი, აგურით ნაგები მომცრო შენობის მთავარი ფასადი აგურის წყობაში გამოყვანილი დეკორატიული კარნიზით სრულდებოდა და აქცენტირებული იყო ლითონის აჟურული აივნით.



ხორავას ქ. №14.

ყურადღებას იქცევდა აქ მცხოვრები მოქალაქეების მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები (საზიარო კომუნიკაციები, სივიწროვე, ეზოში გატანილი სველი წერტილები), შენობების ავარიულობა. ეზოს გარეგნული სახე დამახინჯებული იყო მოსახლეობის მიერ, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, თვითნებურად მიშენებული მოცულობების და გადაკეთებების შედეგად.



ხორავას ქ. №14/ჯანაშიას ქ. №12-16

რაც შეეხება ახლად აგებულ შენობას ის უკვე წამოწყებული პროცესის გაგრძელებაა, თუმცა მისი არქიტექტურული სახე და მასშტაბი გაცილებით კორექტულია, ვიდრე ამ ქუჩებზე ადრე განხორციელებული მშენებლობების შემთხვევაში. საფასადო კომპოზიციისთვის გამოყენებულია მინიმალისტური, სადა გადაწყვეტა, რომელსაც თვალშისაცემი დისონანი არ შემოაქვს არსებულ არქიტეაქურულ გარემოში – ელემენტარული ბლოკური მასებისა და „მზა“, ერთმანეთზე მექანიკურად მორგებული ფორმების ნაცვლად, აქცენტი გადატანილია ღიობებისა და აივნების თანაბარ რიტმზე, კედლის სიბრტყეების ჰორიზონტალურ დანაწევრებაზე. ფასადები დანაწევრებულია აგურის სიბრტყეებითა და თეთრი ფერის პროფილებით (აივნების ძირები, კარ-ფანჯრის მოჩარჩოება, კედლის სიბრტყეში შეწეული აივნების რიგის თეთრი ფონი და სხვა). შენობის ბოლო ორი სართული ძირითადი მასის სიღრმეშია განთავსებული და აქტიურად არ აღიქმება ქუჩის სივრციდან



ხორავას ქ. №14/ჯანაშიას ქ. №12-16

„Г“-ებრი გეგმარების შენობას ტორსოს და ზურგის ფასადების მხრიდან მეზობელი შენობები ესაზღვრება, მათ შორის ჩაჭედილია ვიწრო და მცირე სივრცე, რომელიც ჭისებრ ეზოს წარმოადგენს – ჩაკეტილი სივრცე დამთრგუნველ შთაბეჭდილებას ტოვებს და საჭიროებს გადახალისებას. პირწმინდად უგულვებელყოფილია ამ მცირე ტერიტორიის გამწვანება. სავალდებულოდ მიმაჩნია შეძლებისდაგვარად მისი კეთილმოწყობა – მეზობელი შენობის ზურგის ყრუ კედელზე შესაძლებელია მოეწყოს ე.წ. „ცოცხალი კედელი“ მორწყვის მარტივი სისტემით ან სხვა რაიმე საშუალებებით მოხდეს ეზოს ჩაკეტილი სივრცის გამოცოცხლება.



ხელოვნებათმცოდნე

მარინა ხატიაშვილი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძრვრება, 1801 – 1817 წწ. ტ. I, თბ., 1960, ტ. II, თბ., 1963.
2. ც. კილაძე, მ. მეძმარიაშვილი, თბილისის ხიბლი - სადარბაზოები, თბილისი, 2009.
3. თ. ბერიძე, თბილისის გარეუბნები, თბ., 1977;
4. Т. Квирквелия, Архитектура Тбилиси, Тб., 1982.

ახსნა-განმარტება

მშენებლობის ნებართვის გაცემის დროს (ნომერი: AR1148282, გაცემის თარიღი : 01.08.2013) მიწის ნაკვეთის მესაკუთრე იყო ამხანაგობა „ჯანაშია 2014“ (იხ. ამონაწერი, განცხადების #882013495682).

2014 წლის დეკემბერში შედგა ამხანაგობის კრების ოქმი /ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა "ჯანაშია 2014" კრების ოქმი, რეგისტრაციის N141387536, თარიღი 22.12.2014, რეგისტრაციის N141390434, თარიღი 22.12.2014, N141385913, გაფორმების თარიღი:22/12/2014, ნოტარიუსი ანჟელა მანია/, რომლის მიხედვითაც მოხდა ქ. თბილისში, ჯანაშიას ქ. #12/16/ხორავას ქ. #14-ში მდებარე 391 მიწის ნაკვეთზე /მიწის საკადასტრო კოდი # 01.15.02.023.016/ არსებულ მშენებარე კორპუსში ფართების და ბინების განაწილება და აღნიშნული ოქმის საფუძველზე ამხანაგობის წევრებმა მოახდინეს ბინების (ფართების) საკუთარ სახელზე რეგისტრაცია და შემდგომ მოხდა ბინების გაყიდვაც სხვა პირებზე, რომლებიც არ იყვნენ ამხანაგობის წევრები.

შესაბამისად, ჩვენს მიერ წარმოდგენილი ბინათმესაკუთრეთა კრების ოქმი (თარიღი 26.10.2015) ხელმოწერილია სწორედ იმ პირების მიერ, ვინც დღეის მდგომარეობით წარმოადგენს მიწის თანამესაკუთრეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით “ ნასყიდობის საგანთან ერთად მყიდველის საკუთრებაში გადადის საერთო საკუთრების (ის მიწის ნაკვეთი ან შენობის ნაწილი, რომელიც არ არის ინდივიდუალური საკუთრება) შესაბამისი (ინდივიდუალური საკუთრებაში არსებული ფართის პროპორციული) წილი“. ამას ასევე ადასტურებს ის ამონაწერიც, რომელიც წარმოდგენილია ჩვენს მიერ /(განაცხადის რეგისტრაცია: #882015600101, მომზადების თარიღი: 22/10/2015 წ., ს/კ: #01.15.02.023.016/.



ლევან ჯანღავა.

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 638537
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B13071171
ამონაწერის მომზადების თარიღი: 17/07/2013 15:58:40

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს მაგი ჯგუფი
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, სულხან-საბას ქ., №6
ელექტრონული ფოსტა:	magi-group@mail.ru
საიდენტიფიკაციო კოდი:	404451856
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	17/07/2013
მარეგისტრირებელი ორგანო:	საჯარო რეესტრი
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.ცენტრი ძველი თბილისის გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01015003812, გენადი მილოვი,
  დირექტორი, ,

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
01015003812, გენადი მილოვი,	100.00000000%	404451856-SH-00001

ვალდებულება

გირავნობა

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 2 405 405; 595 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/ე 885-15

"16" 11 2015 წ.

დადგენილება №000212
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

16.11.2015წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კახა ცეცხლაძემ განვიხილე 2015 წლის 09 ნოემბრის №0000212 შემოწმების აქტი "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი **მოქ. ლევან ჯანჯღავას** (პირადი №42001022143, მის: ფოთი, 26 მაისის №64) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ხორავას ქ. №14, ჯანაშიას ქ. №12/16-ში მოქ. ლევან ჯანჯღავას მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №899197 AR1152106 20.09.2013წ. (№1432436 AR1152106 25.08.2014წ.) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: შეცვლილია აგურის მოპირკეთების გაბარიტი. ფასადებზე დამატებულია გამწოვები, გამათბობლის ქვაბები, კონდიციონერი, წყლის მილები და სატელიტორი თეფშები. „6-5" მონაკვეთში დამატებულია ჭალუზები. „6-6" ღერძზე აივნებზე ლითონის ნაცვლად მოწყობილია კაპიტალური ტიხრები. შეცვლილია კიბეების გაბარიტი და ადგილმდებარეობა. „4-1" მონაკვეთში დამატებულია საყრდენი კედლები. შეცვლილია კოლონების, რიგელების გაბარიტი და რაოდენობა. კიბის უჯრედში დამატებულია რიგელები. დამატებულია მონოლითური კედლები. შეცვლილია ღიობების გაბარიტი, ნახატი და ადგილმდებარეობა. ხის ფაქტურიანის ნაცვლად მოწყობილია თეთრი ფერის მეტალო-პლასმასის კარ-ფანჯარა. +0.00 ნიშნულზე შეცვლილია ღიობების რაოდენობა. შეცვლილია მოაჯირების ნახატი. კაპიტალურის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირები. აივნებს ნაწილობრივ მონაცვლებული აქვს ადგილი. შემცირებულია ლიფტის შახტის გაბარიტი. შეცვლილია შიდა კიბის გაბარიტი და კიბის საფეხურების რაოდენობა არ შეესაბამება საპროექტოს. შეცვლილია გრუნტის ნიშნული. გამწოვ შახტებს მონაცვლებული აქვს ადგილი. +20.85 ნიშნულზე „ბ-დ" მონაკვეთში დამატებულია ღიობები. გაუქმებულია -6.10 ნიშნული და შემცირებულია ფართი 286მ²-ით. -3.25 ნიშნულზე გაზრდილია სართულის სიმაღლე, შემცირებულია სართულის ფართი 14მ²-ით, გაუქმებულია სანდუსი და

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

კიბე. +4.25 ნიშნულიდან +10.75 ნიშნულის ჩათვლით „4-3“ მონაკვეთში დამატებულია აივნები. +14.00 და +17.25 ნიშნულზე „4-3“ მონაკვეთში დამატებულია ღობები. +12.40 ნიშნულზე „5-4“ მონაკვეთში შეცვლილია აივნის ფორმა. +14.00 ნიშნულზე „ა-გ“ მონაკვეთში შეცვლილია ფილის და ფილის ქვეშ კედლის ფორმა. +20.80 ნიშნულზე გაზრდილია სართულის სიმაღლე 0.2მ-ით. გაზრდილია ფართი და დამატებულია ლითონის მოაჯირი. საყრდენი კედლები კიბეები და საყვავილეები ნაწილობრივ სცდება საკადასტრო წითელ ხაზებს

2015 წლის 09 ნოემბერს საქართველოს კანონის “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის “თ” პუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000212 “სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ.” საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მოქ. ლევან ჯანჯღავას მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის “ა” პუნქტის “ა.გ.” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ხორავას ქ. №14, ჯანაშიას ქ. №12/16-ში მოქ. ლევან ჯანჯღავას მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №899197 AR1152106 20.09.2013წ. (№1432436 AR1152106 25.08.2014წ.) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით ”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ”, საქართველოს კანონის “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის “ა” პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის “თ” პუნქტით, 25[1]-ე მუხლის მე-6 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის “ა” პუნქტის “ა.გ.” ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. მოქ. ლევან ჯანჯღავა დაჯარიმდეს 4.000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. მოქ. ლევან ჯანჯღავას დაევალოს, საქართველოს კანონის “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, მოქ. ლევან ჯანჯღავას დაევალოს, შესაბამისი გადარიცხვის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
მოადგილის მოვალეობის
შემსრულებელი

კ. ცეცხლაძე

საგადასახადო დავალება
Payment Order

\# 1 GEL

თარიღი / Date: 17/11/2015

ს.ს. „თიბისი ბანკი“

რეფერენსი / Ref. Num.
1263064742

გადამხდელი / sender
ამხანაგობა 'ჯანაშია 2014', 205306729

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account
GE87TB7087636050100002

გადამხდელის ბანკი / Sender's bank | ბანკის კოდი / Bank Code
სს თიბისი ბანკი | *TBCBGE22*

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
inforamtion on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name *ამხანაგობა 'ჯანაშია 2014', 205306729*

საიდენთიფიკაციო კოდი / Sender"s Tax Code 205306729

მიმღები / ReceIver
ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. /Treasury Code 300773263

მიმღები ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury | ბანკის კოდი / Bank Code
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური | *TRESGE22*

გადახდის დანიშნულება / Operation Details
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - საშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია / Additional information
დადგენილება N 000212

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

თანხა / Amount
4,000.00 GEL
თანხა სიტყვიერად Amount in words
ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი
ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი/Document submission/receiving date 17/11/2015
ხელმოწერა Signature შტამპის ადგილი

17/11/2015 4:44:03 PM

1263064742

ბარონე ჯავახიშვილი

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

2554543
12/14272422-16
13.10.2014

ლევან ჯანჯღავა (42001022143),
ბერიტაშვილის #120 კორპ., ბინა 3

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი #12/14272422 წერილის პასუხად სამსახური გამლევთ რეკომენდაციას „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^{1}-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად 30 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ (წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა) 25.08.2013წლის #1432436 ბრძანებით შეთანხმებული პროექტიდან გადახვევით ქ. თბილისში, ხორავას ქ. #14 Si თქვენი დაკვეთით მიმდინარე მშენებლობაზე შემდეგი დარღვევის გათვალისწინებით:

შეცვლილია კოლონების, რიგელების გაბარიტი და რაოდენობა. კიბის უჯრედში დამატებულია რიგელები. დამატებულია მონოლითური კედლები. შეცვლილია ღიობების გაბარიტი, ნახატი და ადგილმდებარეობა. ხის ფაქტურიანის ნაცვლად მოწყობილია თეთრი ფერის მეტალო-პლასმასის კარფანჯარა. +0.00 ნიშნულზე შეცვლილია ღიობების რაოდენობა. შეცვლილია მოაჯირების ნახატი. კაპიტალურის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირები. აივნებს ნაწილობრივ მონაცვლეობა აქვს ადგილი. შეცვლილია ლიფტის შახტის გაბარიტი. შეცვლილია შიდა კიბის გაბარიტი და კიბის საფეხურების რაოდენობა არ შეესაბამება საპროექტოს. შეცვლილია გრუნტის ნიშნული. გამწოვ შახტებს მონაცვლეობა აქვს ადგილი +20.85 ნიშნულზე „ბ-დ“ მონაკვეთში დამატებულია ღიობები. [illegible] -6.10 ნიშნულით და შემცირებულია [illegible] 86კვ.მ-ით 3.25 ნიშნულზე გაზრდილია სართულის სიმაღლე, შემცირებულია სართულის ფართი 14კვ.მ-ით, გაუქმებულია პანდუსი და კიბე +4.25 ნიშნულიდან +10.75 ნიშნულის ჩათვლით „4-3“ მონაკვეთში დამატებულია აივნები. +14.00 და +17.25 ნიშნულზე „4-3“ მონაკვეთში დამატებულია ღობები. +12.40 ნიშნულზე „5-4“ მონაკვეთში შეცვლილია აივნის ფორმა. +14.00 ნიშნულზე „ა-გ“ მონაკვეთში შეცვლილია ფილის და ფილის ქვეშ კედლის ფორმა.

დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^{1}-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება“.

პატივისცემით,
თბილისის მუნიციპალიტეტის მერია / ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე

დავით მეძულაშვილი

№000212 შემოწმების აქტის დანართი (ერთ ფურცლად)

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

შეცვლილია აგურის მოპირკეთების გაბარიტი. ფასაადებზე დამატებულია გამწოვები, გამათბობლის ქვაბები, კონდიციონერი, წყლის მილები და სატელიტორი თეფშები. ,,6-5“ მონაკვეთში დამატებულია ჟალუზები. ,,6-6“ ღერძზე აივნებზე ლითონის ნაცვლად მოწყობილია კაპიტალური ტიხრები. შეცვლილია კიბეების გაბარიტი და ადგილმდებარეობა. ,,4-1“ მონაკვეთში დამატებულია საყრდენი კედლები.

შეცვლილია კოლონების, რიგელების გაბარიტი და რაოდენობა. კიბის უჯრედში დამატებულია რიგელები. დამატებულია მონოლითური კედლები. შეცვლილია ღიობების გაბარიტი, ნახატი და ადგილმდებარეობა. ხის ფაქტურიანის ნაცვლად მოწყობილია თეთრი ფერის მეტალო-პლასმასის კარფანჯარა. ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ღიობების რაოდენობა. შეცვლილია მოაჯირების ნახატი. კაპიტალურის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირები. აივნებს ნაწილობრივ მონაცვლებულია აქვს ადგილი. შემცირებულია ლიფტის შახტის გაბარიტი. შეცვლილია შიდა კიბის გაბარიტი და კიბის საფეხურების რაოდენობა არ შეესაბამება საპროექტოს. შეცვლილია გრუნტის ნიშნული. გამწოვ შახტებს მონაცვლებული აქვს ადგილი. +20.85 ნიშნულზე ,,ბ-დ“ მონაკვეთში დამატებულია ღიობები. გაუქმებულია -6.10 ნიშნული და შემცირებულია ფართი 286კვ.მ-ით. -3.25 ნიშნულზე გაზრდილია სართულის სიმაღლე, შემცირებულია სართულის ფართი 14კვ.მ-ით. გაუქმებულია პანდუსი და კიბე. +4.25 ნიშნულიდან +10.75 ნიშნულის ჩათვლით ,,4-3“ მონაკვეთში დამატებულია აივნები. +14.00 და +17.25 ნიშნულზე ,,4-3“ მონაკვეთში დამატებულია ღობები. +12.40 ნიშნულზე ,,,5-4“ მონაკვეთში შეცვლილია აივნის ფორმა. +14.00 ნიშნულზე ,,ა-გ“ მონაკვეთში შეცვლილია ფილის და ფილის ქვეშ კედლის ფორმა. +20.80 ნიშნულზე გაზრდილია სართულის სიმაღლე 0.2მ-ით. გაზრდილია ფართი და დამატებულია ლითონის მოაჯირი.

საყრდენი კედლები კიბეები და საყვავილეები ნაწილობრივ სცდება საკადასტრო წითელ ხაზებს.

მთავარი სპეციალისტი _____ /კ. გიორგობიანი/

დანართი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა)

_____ 13.11.15წ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის
საქალაქო სამსახური

თბილისი. 0160, შარტავას ქ. 7 ტელ: 2378501, 2378396

შემოწმების აქტი № 000212

(სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ)

შედგენის თარიღი: 09.11.2015 წელი

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი" 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება შემოწმების აქტის შედგენით იწყება შემდეგი შემთხვევის გამო:

ა) მშენებლობის დემონტაჟის დაუყოვნებლივ შეჩერების შესახებ დადგენილების მიღებისას;

ბ) მშენებლობის შეჩერების შესახებ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობისას;

გ) დამრღვევისთვის საურავის შესახებ დადგენილების მიღებისას;

დ) დამრღვევის საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით დაჯარიმებისას;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად განცხადების წარმოუდგენლობისას;

ვ) თუ დამრღვევი განცხადების საფუძველზე აღიარებს სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით დადგენილი ზომების გატარებას.

დამრღვევის დასახელება და მისამართი: _____

ობიექტის დასახელება და მისამართი: _____

შემოწმებით დადგინდა: _____

შემოწმების აქტის შემდგენი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა):

_____

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა):

_____

თუ ვერ ხერხდება მხარისათვის შემოწმების აქტის გაცნობა (პირადად ჩაბარება), გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვალოს მათი განთავსება შემოწმების აქტში მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი'' 25-ე მუხლის მე-19 ნაწილი).

შემოწმების აქტი გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით. (ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი).

_____

_____

_____

განთავსების თარიღი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

განკარგულება № 37.09.1069

"16" სექტემბერი 2015 წ.

ქ. თბილისში, ხორავას ქ. 14–ში, ჯანაშიას ქ. №12/16–ში მდებარე მიწის ნაკვეთზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გადავადებასა და ამასთან დაკავშირებით შეთანხმების დადების შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 8 სექტემბერს #16660/12 (სამსახურში რეგისტრაციის #07/11543–13; თარიღი: 09.09.15) განცხადებით მიმართა ლევან ჯანჯღავამ და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მოითხოვა ქ. თბილისში, ხორავას ქ. 14–ში, ჯანაშიას ქ. №12/16–ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის გადასახდელი მოსაკრებლის გადახდის გადავადება და ამასთან დაკავშირებით შესაბამისი შეთანხმების დადება. თავის მხრივ, ლევან ჯანჯღავა იღებს ვალდებულებას, რომ შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე არაუგვიანეს 2016 წლის 1 იანვრისა, განცხადებას წარუდგენს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს და შენობა–ნაგებობა დააკმაყოფილებს ექსპლუატაციაში მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ განიხილა ქ. თბილისის მერის 2012 წლის 24 ივლისის #2090 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის 2016 წლის 1 იანვრამდე გადავადების და ამასთან დაკავშირებით შეთანხმების დადების საკითხი და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის 17² მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისში, ხორავას ქ. 14–ში, ჯანაშიას ქ. №12/16–ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დროულად დასრულების, ქალაქის განვითარებისა და იერსახის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილად მიაჩნია ლევან ჯანჯღავასთან მოსაკრებლის გადახდის გადავადებასთან დაკავშირებით დადოს შეთანხმება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 75–ე მუხლის „ე.თ" და „ე.კ" ქვეპუნქტების, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე–17² მუხლის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ადგენს: 04/12347–13 17 09 15

1. ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 24 ივლისის #2090 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდა გადავადდეს 2016 წლის 1 იანვრამდე;

2. დადებულ იქნეს ლევან ჯანჯღავასთან შეთანხმება, შემდეგი პირობებით:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უზრუნველყოფს ლევან ჯანჯღავას მიერ ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 24 ივლისის #2090 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადავადებას, ხოლო შეთანხმების განხორციელების მიზნით, ლევან ჯანჯღავამ უნდა

უზრუნველყოს, არაუგვიანეს 2016 წლის 1 იანვრისა, უფლებამოსილ ორგანოში განცხადების წარდგენა შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე და ექსპლუატაციაში მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება;

ბ) შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში შეთანხმება გაუქმდება და ლევან ჯანჯღავას დაეკისრება ვალდებულება, შეთანხმების გაუქმებიდან 1 თვის ვადაში გადაიხადოს ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 24 ივლისის #2090 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებელი.

3. შეთანხმებას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ხელს აწერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ნარმანია.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე–მერი).

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის ვადაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის მოვალეობის შემსრულებელი,
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის პირველი მოადგილე (ვიცე–მერი) ლაშა აბაშიძე

საგადახდო დავალება
Payment Order

1 | GEL | ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 26/02/2016

გადამხდელი / Sender

ამხანაგობა 'ჯანაშია 2014', 205306729

რეფერენსი / Ref. Num.

1314381934

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE87TB7087636050100002

თანხა / Amount

180,937.00 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank | ბანკის კოდი / Bank Code

სს თიბისი ბანკი | *TBCBGE22*

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ას ოთხმოცი ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტი ლარი და 00 თეთრი

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name *ამხანაგობა 'ჯანაშია 2014', 205306729*

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 205306729

მიმღები / Receiver

ქალაქ თბილისის მერია

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code GE28LB0125152101628012

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი
Document submission/receiving date

26/02/2016

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury | ბანკის კოდი / Bank Code

სს "ლიბერთიბანკი" | *LBRTGE22*

გადახდის დანიშნულება / Operation Details

განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) ის მოსაკრებელი, ქ. თბილისის მერიის განკარგულება N 2090, თარიღი: 24 ივლისი 2012 წ.

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

ხელმოწერა
Signature

დასტამპილია ინტერნეტ ბანკით
თიბისი ბანკი TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

საგადასახადო დავალება
Payment Order

#	1	GEL
		თარიღი / Date: 03/12/2014

03/12/2014 12:15:58 PM

გადამხდელი / sender	
ამხანაგობა 'ჯანაშია 2014' - 205306729	1113860036
გადამხდელის ანგარიში / Sender's Account: GE87TB7087636050100002	თანხა / Amount
გადამხდელის ბანკი / Sender's bank — ბანკის კოდი / Bank Code	5,000.00 GEL
სს თიბისი ბანკი — TBCBGE22	
ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაცსრულდება გადახდა / inforamtion on a person on behalf of whom the payment is made	თანხა სიტყვიერად / Amount in words
დასახელება / Name: ამხანაგობა 'ჯანაშია 2014'	ხუთი ათასი ლარი 00 თეთრი
საიდენთიფიკაციო კოდი / Sender"s Tax Code: 205306729	
მიმღები / Receiver	
ქალაქ თბილისის მერია	
მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. /Treasury Code: GE28LB0125152101628012	შესრულების თარიღი / Operation Date 03/12/2014
მიმღები ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury — ბანკის კოდი / Bank Code	
სს "ლიბერთიბანკი" — LBRTGE22	
გადახდის დანიშნულება / Operation Details	ბანკში შემოსვლის თარიღი / Receiver 03/12/2014
განაშენიანების კოეფიციენტის ინტენსივობის გადასახადი	
დამატებითი ინფორმაცია / Additional information	ხელმოწერა Signature
	შტამპის ადგილი

1113860036

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

42084613455413

42084613455413

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის სადამფუძნებლო დოკუმენტაციის დამოწმების ცვლილება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N131264553

N131264553

რეგისტრაციის თარიღი

03.12.2013 წ

ნოტარიუსი: ნუნუ გინტური
მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. #47
ტელეფონი: 2935425

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა

„ჯანაშია 2014“-ის დაფუძნების შესახებ

2013 წლის 03 დეკემბერი

(ახალი რედაქცია)

საქართველო

ორიათასცამეტი წლის სამ დეკემბერს, მე ნოტარიუსს **ნ. გინტბურს**, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №47-ში, მომმართეს ქ/ბატონებმა **ლამარა მაგრაქველიძემ, ხათუნა ბოხუამ თავად და როგორც დავით მაგრაქველიძის** (დაბ: 09.02.1961 წელს, მცხ: თბილისი, ს. ჯანაშიას ქუჩა №12/16, პირადი №01017011791, პ/მ №დ 1358826, გაც: 25.01.2010 წელს) რწმუნებულმა, **ნინო მაგრაქველიძე - ყანჩელმა, შპს “უნივერსალმშენი“-ს** (რეგ: 03.06.2013 წელს, ს/კ 404995225, იურ. მის: ქ. თბილისი, შროშის ქუჩა №16, ბინა №15) **დირექტორმა ირაკლი თოფურიამ, ხათუნა გერმისაშვილმა, მიხეილ გოგოლაშვილმა, მარინე მესხმა, თინათინ არაბიაშვილმა, ლუბა აბრამიშვილის** (15.03.1934 საჩხერეში, მცხ: თბილისი, აკ. ხორავას ქუჩა №14, პირადი №01017018004) მინდობილმა პირმა **ნანა ნანავამ**. მათ მოითხოვეს ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულების შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ხათუნა გერმისაშვილმა** (დაბ: 11.10.1970 წელს, მცხ: თბილისი, აკ. ხორავას ქუჩა №14, პირადი №01018006273, პ/მ №ა 0528111, გაც: 09.09.2004 წელს), **მიხეილ გოგოლაშვილმა** (დაბ: 16.03.1966 წელს, მცხ: თბილისი, არბოს ქუჩა №4, ბინა №3, პირადი №01023008370, პ/მ №ბ 1442956, გაც: 13.07.2011 წელს), **მარინე მესხმა** (დაბ: 28.08.1972 წელს, მცხ: თბილისი, აკ. ხორავას ქუჩა №14, პირადი №01018005172, ბარათის №III 13987, გაც: 12.09.2011 წელს), **თინათინ არაბიაშვილმა** (დაბ: 07.01.1967 წელს, მცხ: თბილისი, აკ. ხორავას ქუჩა №14, პირადი №01018001540, პ/მ №ა 0030895, გაც: 27.07.1995 წელს), **ნანა ნანავამ** (დაბ: 03.09.1962 წელს, მცხ: თბილისი, აკ. შანიძის ქუჩა №33, პირადი №01018002275, პ/მ №დ 0090585, გაც: 26.10.1995 წელს), **ლამარა მაგრაქველიძემ** (დაბ: 10.06.1936 წელს, მცხ: თბილისი, ს. ჯანაშიას ქუჩა №12/16, პირადი №01018005301, პ/მ №ა 0479999, გაც: 25.12.2003 წელს) და **ხათუნა ბოხუამ** (დაბ: 21.04.1969 წელს, მცხ: თბილისი, ახალშენის ქუჩა №11, ბინა №70, პირადი №01026013567, ბარათის №IIჩ22966, გაც: 23.03.2012 წელს), **ნინო მაგრაქველიძე - ყანჩელმა** (დაბ: 01.06.1964 წელს, მცხ: თბილისი, ძმ. კაკაბაძეების ქუჩა №24, პირადი №01024005329, პ/მ №გ 1255710, გაც: 18.02.2009 წელს) და **შპს “უნივერსალმშენი“** (რეგ: 03.06.2013 წელს, ს/კ 404995225, იურ. მის: ქ. თბილისი, შროშის ქუჩა №16, ბინა №15) დირექტორმა **ირაკლი თოფურიამ** (დაბ: 16.01.1969 წელს, მცხ: თბილისი, ტაშკენტის ქუჩა №23/1, ბინა №19ა, პირადი №01025005798, პ/მ №ბ 1104030, გაც: 11.10.2007 წელს) მომმართეს. მე შევამოწმე **ირაკლი თოფურიას** უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს **შპს “უნივერსალმშენი“** თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან: განაცხადის ნომერი: 622361, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B13055858, ამონაწერის მომზადების თარიღი: 03/06/2013 17:43:00. მე შევამოწმე **ნანა ნანავას** უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს **ლუბა აბრამიშვილი** თანახმად მინდობილობისა დამოწმებული 17.07.2013 წელს ნოტარიუს მაია ბრეგვაძის მიერ რ№130724890. მე შევამოწმე **ხათუნა ბოხუას** უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს **დავით**

მაგრაქველიძე თანახმად მინდობილობისა დამოწმებული 16.07.2013 წელს ნოტარიუს მაია ბრეგვაძის მიერ რ№130716626. მე შევამოწმე მხარეთა ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მათი ნების გამოხატვის ნამდვილობა, რის შემდეგაც შევადგინე შემდეგი სანოტარო აქტი:

მუხლი 1. ამხანაგობის სახელწოდება, მისამართი, ტერმინთა განმარტება და დამფუძნებლები

1.1. ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა **"ჯანაშია 2014"** არის ამხანაგობა **„ჯანაშია 2014"-ისა** და ამხანაგობა **"ხორავა 2014"-ის** გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა, რომლის მისამართია **ქ. თბილისი, ჯანაშიას ქუჩა №12/16 / ქ. თბილისი, ხორავას ქუჩა №14.**

1.2. სანოტარო აქტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ამხანაგობის მესაკუთრე წევრი – პირი, რომელმაც შენატანი განახორციელა უძრავი ქონების სახით;

ამხანაგობის წევრი – პირი, რომელმაც შენატანი განახორციელა მომსახურეობის გაწევით; სხვა პირი, რომელიც გაწევრიანდება ამხანაგობაში საცხოვრებელი და/ან არასაცხოვრებელი ფართის აშენების მიზნით, რომელთაც შენატანი განახორციელა ფულადი შენატანის სახით

ამხანაგობის დამფუძნებლები – ამხანაგობის მესაკუთრე წევრები, ამხანაგობის წევრები, რომლებმაც განახორციელეს ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა;

შენატანი – უძრავი ქონება, ფულადი შენატანი და მომსახურეობის გაწევა.

ამხანაგობის დამფუძნებელთა კრება – ამხანაგობის მართვის ორგანო.

1.3 დამფუძნებლები:

- ამხანაგობის მესაკუთრე წევრები: **თინათინ არაფიაშვილი, მარინე მესხი, მიხეილ გოგოლაშვილი, ხათუნა გერმისაშვილი, ლუბა აბრამიშვილი, ხათუნა ბოხუა, ლამარა მაგრაქველიძე, ნინო მაგრაქველიძე ყანჩელი და დავით მაგრაქველიძე.**
- ამხანაგობის წევრები: **შპს "უნივერსალმშენი"** (ინვესტორი).

მუხლი 2. ამხანაგობის სახეობა და მიზანი

2.1 ამხანაგობის სახეობა და მიზანია წინამდებარე დაფუძნების აქტით, იურიდიული პირის შეუქმნელად, განსაზღვრული წესითა და ვადებში ერთობლივად იმოქმედონ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად (შემდგომში – „საცხოვრებელი სახლი") და მშენებლობის დასრულების შემდეგ ამ შენობის, როგორც „ამხანაგობის" წევრთა წილობრივი თანასაკუთრების, მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის განსახორციელებლად (მათი წილის შესაბამისად).

2.2 საცხოვრებელი სახლი უნდა აშენდეს მისამართზე: **ქ. თბილისი, ჯანაშიას ქუჩა №12/16 / ქ. თბილისი, ხორავას ქუჩა №14.**

მუხლი 3. დამფუძნებელთა შენატანები

3.1 ამხანაგობის მესაკუთრე წევრებმა ამხანაგობაში შენატანი განახორციელეს ამხანაგობა „ჯანაშია 2014"-ისა და ამხანაგობა "ხორავა 2014"-ის გაერთიანებამდე, კერძოდ **თინათინ არაფიაშვილმა, მარინე მესხმა, მიხეილ გოგოლაშვილმა, ხათუნა გერმისაშვილმა და ლუბა აბრამიშვილმა** შენატანები განახორციელეს ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა "ხორავა 2014"-ის დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების დამოწმებული 10.06.2013 წელს ნოტარიუს მაია ბრეგვაძის მიერ რ№130572711 საფუძველზე, ხოლო **ხათუნა ბოხუამ, ლამარა მაგრაქველიძემ, ნინო მაგრაქველიძე - ყანჩელმა და დავით მაგრაქველიძემ** – ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა "ჯანაშია 2014"-ის დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების დამოწმებული 05.06.2013 წელს ნოტარიუს მაია ბრეგვაძის მიერ რ№130558388 საფუძველზე.

მუხლი 4. გარიგების ღირებულება

4.1. მხარეთა განცხადებით ამ გარიგების ღირებულება შეადგენს ოთხასიათას (400 000) აშშ დოლარს (ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში), რაც ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმების მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად შეადგენს ექვსასსამოცდათვრამეტიათას ექვსასოთხმოც (678 680) ლარს.

მუხლი 5. ამხანაგობის ხელმძღვანელობა და მართვა

5.1. ამხანაგობის მმართველობის უმაღლესი ორგანოა დამფუძნებელთა კრება. კრებებს შორის ამხანაგობის მართვას ანხორციელებს ამხანაგობის თავმჯდომარე. დამფუძნებლები შეთანხმდნენ, რომ ამხანაგობას გაუძღვება ამხანაგობის თავმჯდომარე. ამხანაგობის თავმჯდომარედ დამფუძნებლებმა აირჩიეს **ლევან ჯანჯღავა.**

5.2. **ამხანაგობის მმართველ (აღმასრულებელ) ორგანოს წარმოადგენს ამხანაგობის თავმჯდომარე.** ამხანაგობის თავმჯდომარის ფუნქციებია:

- ამხანაგობის მიმდინარე საქმეების მართვა და ხელმძღვანელობა;
- მშენებლობის პროცესის ორგანიზაციულ-ფინანსური ხელმძღვანელობა და ზედასმხედველობა;
- ურთიერთობების წარმართვა სამშენებლო კომპანიებთან მშენებლობის განხორციელებისათვის;
- ამხანაგობის საფინანსო საქმიანობის წარმართვა;
- ამხანაგობის წევრთა ინფორმაციული უზრუნველყოფა პროექტის მიმდინარეობის შესახებ;
- ამხანაგობის ახალ წევრთა მიღების ორგანიზაცია;
- ამხანაგობისათვის წინადადების მომზადება ახალი წევრის მიღებისა და შესაბამისი შენატანის და წილის განსაზღვრისათვის;
- სხვა საქმიანობა, რაც დაკავშირებულია ამხანაგობის ყოველდღიურ საქმიანობასთან.

5.3. ამხანაგობის თავმჯდომარეს გააჩნია ამხანაგობის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, კერძოდ: იგი უფლებამოსილია ერთპიროვნულად წარმოადგინოს ამხანაგობა ნებისმიერ მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში და სასამართლოში.

5.4. თავმჯდომარე ამხანაგობის სახელით ხსნის ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში და უფლებამოსილია მათ განკარგვაზე.

5.5. თავმჯდომარე ხელს აწერს ნებისმიერ გარიგებას ამხანაგობის სახელით.

5.6. თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია ამხანაგობის წევრების წინაშე.

5.7. თავმჯდომარე უფლებამოსილია ამხანაგობის საქმეების გაძღოლის მიზნით დაიქირავოს სპეციალისტები და თანამშრომლები.

5.8. ამხანაგობის სახელით წერილობითი გარიგების დადებისას ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია მიუთითოს, რომ იგი მოქმედებს ამხანაგობის სახელით.

5.9. ამხანაგობის თავმჯდომარეს უფლება აქვს უარი თქვას ამხანაგობის ხელმძღვანელობაზე, რის შესახებ მან წერილობით უნდა აცნობოს სხვა მხარეებს.

5.10. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია მოახდინოს ამხანაგობის სახელზე რიცხული ფართების განაწილება-განშლა და მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ საგენტოში.

5.11. **ამხანაგობის დამფუძნებელთა კრება:**

- დამფუძნებლთა კრება არის ამხანაგობის მმართველობის უმაღლესი ორგანო.
- დამფუძნებელ წევრთა კრება მოიწვევა საჭიროებისამებრ ამხანაგობის თავმჯდომარის ან რომელიმე დამფუძნებელი წევრის მოთხოვნით.
- **დამფუძნებელ წევრთა კრებაზე ნებისმიერ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამფუძნებელ წევრთა უბრალო უმრავლესობის თანხმობა.**

5.12. დამფუძნებელ წევრთა კრების კომპეტენციას განეკუთვნება:

- ამხანაგობის ძირითადი ორგანიზაციულ-ფინანსური საკითხების გადაწყვეტა;

- ამხანაგობის წევრის ამხანაგობიდან გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევა;
- ამხანაგობის უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვა;

5.13. ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრება მოიწვევა ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ ან რომელიმე დამფუძნებელი წევრის ინიციატივით, კრების მოწვევამდე არაუმცირეს სამი (3) დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით.

5.14. დამფუძნებელი წევრი კრებაზე შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ნებისმიერ რწმუნებული პირის მიერ. ამგვარი რწმუნებულება დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო წესით.

5.15. დამფუძნებელ წევრთა კრება გადაწყვეტილებუნარიანია თუ მას ესწრება ან წარმოდგენილია დამფუძნებელ წევრთა 2/3.

5.16. კრებას თავმჯდომარეობს ამხანაგობის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში დამფუძნებელი წევრი კრების არჩევით.

5.17. დამფუძნებელ წევრთა გადაწყვეტილებები მიიღება კრების ოქმის სახით, რომელზეც ხელს აწერენ კრებაზე დამსწრე წევრები.

მუხლი 6. ბინების განაწილების წესი

6.1. ამხანაგობის დამფუძნებლები ვალდებულნი არიან სამშენებლო დოკუმენტაციის შედგენის დასრულების შემდეგ შეადგინონ დამფუძნებელთა შორის ბინების (არასაცხოვრებელი, კომერციული, საოფისე ფართების და ავტოსადგომების) განაწილების შესახებ სანოტარო აქტი, რომელშიც უნდა მიეთითოს თითოეული მონაწილის კუთვნილი ფართის განთავსების სართული და მდებარეობა (საჭიროების შემთხვევაში – სადარბაზო) და ასაშენებელი ბინის (არასაცხოვრებელი, კომერციული, საოფისე ფართების და ავტოსადგომების) საერთო ფართი.

6.2. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია ბინების განაწილების შესახებ სანოტარო აქტი და სამშენებლო დოკუმენტაცია წარუდგინოს საჯარო რეესტრს რეგისტრაციის მიზნით. საჯარო რეესტრში უნდა აღინიშნოს თითოეული ასაშენებელი ბინის მომავალი მესაკუთრე.

6.3. **ამხანაგობის წევრები ამხანაგობა „ჯანაშია 2014“-სა და ამხანაგობა “ხორავა 2014“-ის გაერთიანებამდე მათ მიერ ამხანაგობებში განხორციელებული შენატანების სანაცვლოდ მიიღებენ:**

- **ხათუნა გერმისაშვილი** (დაბ: 11.10.1970 წელს, მცხ: თბილისი, აკ. ხორავას ქუჩა №14, პირადი №01018006273, პ/მ №ა 0528111, გაც: 09.09.2004 წელს) – მიიღებს 60 კვმ გარემონტებულ საცხოვრებელ ბინას (აღნიშნულ ფართში არ შედის აივნის ფართი), მე-2 სართულზე, ჯანაშიას ქუჩის მხარეს და კომპენსაციას 300 აშშ დოლარს, ყოველთვიურად 2013 წლის 01 სექტემბრიდან – ბინაში შესახლებამდე;
- **მიხეილ გოგოლაშვილი** (დაბ: 16.03.1966 წელს, მცხ: თბილისი, არბოს ქუჩა №4, ბინა №3, პირადი №01023008370, პ/მ №ბ 1442956, გაც: 13.07.2011 წელს) – მიიღებს 50 კვმ გარემონტებულ საცხოვრებელ ბინას (აღნიშნულ ფართში არ შედის აივნის ფართი), მე-2 სართულზე და კომპენსაციას 300 აშშ დოლარს, ყოველთვიურად 2013 წლის 01 სექტემბრიდან – ბინაში შესახლებამდე;
- **მარინე მესხი** (დაბ: 28.08.1972 წელს, მცხ: თბილისი, აკ. ხორავას ქუჩა №14, პირადი №01018005172, ბარათის №11IA13987, გაც: 12.09.2011 წელს) – მიიღებს 50 კვმ გარემონტებულ საცხოვრებელ ბინას მე-6 სართულზე. ამასთან მშენებლობის დაწყებამდე მოხდა ია გელაშვილის სასარგებლოდ მისი ვალდებულების, კერძოდ იპოთეკის თანხის – 17 000 აშშ დოლარის ოდენობით გადახდა;
- **თინათინ არაბიაშვილი** (დაბ: 07.01.1967 წელს, მცხ: თბილისი, აკ. ხორავას ქუჩა №14, პირადი №01018001540, პ/მ №ა 0030895, გაც: 27.07.1995 წელს) – მიიღებს 60 კვმ გარემონტებულ საცხოვრებელ ბინას (აღნიშნულ ფართში არ შედის აივნის ფართი), მე-2 სართულზე და კომპენსაციას 300 აშშ დოლარს, ყოველთვიურად 2013 წლის 01 სექტემბრიდან – ბინაში შესახლებამდე;

- **ლუბა აბრამიშვილი** (დაბ: 15.03.1934 წელს, მცხ: თბილისი, აკ. ხორავას ქუჩა №14, პირადი №01017018004, პ/მ №ბ 0252486, გაც: 30.11.1999 წელს) – მიიღებს 80 კვმ გარემონტებულ საცხოვრებელ ბინას (აღნიშნულ ფართში არ შედის აივნის ფართი), მე-4 სართულზე, ჯანაშიას ქუჩის მხრიდან ეზოში გამავალს და კომპენსაციას 450 აშშ დოლარს, ყოველთვიურად 2013 წლის 01 სექტემბრიდან – ბინაში შესახლებამდე;
- **ლამარა მაგრაქველიძე** (დაბ: 10.06.1936 წელს, მცხ: თბილისი, ს. ჯანაშიას ქუჩა №12/16, პირადი №01018005301, პ/მ №ა 0479999, გაც: 25.12.2003 წელს) და **დავით მაგრაქველიძე** (დაბ: 09.02.1961 წელს, მცხ: თბილისი, ს. ჯანაშიას ქუჩა №12/16, პირადი №01017011791, პ/მ №დ 1358826, გაც: 25.01.2010 წელს) თანასაკუთრებაში მიიღებენ 160 კვმ გარემონტებულ საცხოვრებელ ბინას (აღნიშნულ ფართში არ შედის აივნის ფართი), მე-3 სართულზე ჯანაშიასა და ხორავას კუთხეში და კომპენსაციას 600 აშშ დოლარს, ყოველთვიურად 2013 წლის 01 სექტემბრიდან – ბინაში შესახლებამდე;
- **ხათუნა ბოხუა** (დაბ: 21.04.1969 წელს, მცხ: თბილისი, ახალშენის ქუჩა №11, ბინა №70, პირადი №01026013567, ბარათის №11IC22966, გაც: 23.03.2012 წელს) – მიიღებს 50 კვმ გარემონტებულ საცხოვრებელ ბინას, მე-4 სართულზე;
- **ნინო მაგრაქველიძე - ყანჩელი** (დაბ: 01.06.1964 წელს, მცხ: თბილისი, ძმ. კაკაბაძეების ქუჩა №24, პირადი №01024005329, პ/მ №გ 1255710, გაც: 18.02.2009 წელს) საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ მიიღებს 30 000 აშშ დოლარს შემდეგი გრაფიკით: 15 000 აშშ დოლარი უნდა მიიღოს ქ. თბილისში, ჯანაშიას ქუჩა №12/16-ში არსებული შენობა-ნაგებობების დანგრევამდე, ხოლო დარჩენილი 15 000 აშშ დოლარი – მშენებლობის დაწყებიდან მესამე თვის ბოლოს;
- სამშენებლო პროექტით გათვალისწინებულ დარჩენილ გასანაწილებელ ფართს, კერძოდ საცხოვრებელ ფართს 1 000 კვმს, კომერციულ ფართს 250 კვმს, დამხმარე ფართს 294 კვმს, მანსარდას 86 კვმს მთლიანად მიიღებს **შპს "უნივერსალმშენი"** (რეგ: 03.06.2013 წელს, ს/კ 404995225, იურ. მის: ქ. თბილისი, შროშის ქუჩა №16, ბინა №15);

6.4. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მხარეთათვის ცნობილია, რომ ფართების დაზუსტება მოხდება აზომვითი ნახაზის და ლეგალიზებული პროექტის მიღების შემდეგ.

6.5. მხარეთა შეთანხმებით, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, ამხანაგობის თავმჯდომარე უფლებამოსილია ზ/აღნიშნულ მისამართზე ასაშენებელი შენობა-ნაგებობის სამშენებლო მოცულობა გაზარდოს ამხანაგობის წევრების წერილობითი თანხმობის გარეშე.

6.6. საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღებისა და საცხოვრებელი სახლის საჯარო რეესტრში აღრიცხვის შემდეგ მიწის ნაკვეთი, რომელზედაც იქნება აშენებული საცხოვრებელი სახლი, იქნება ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებაში ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართის პროპორციულად.

მუხლი 7. დამფუძნებელთა უფლებები და მოვალეობები

7.1 ამხანაგობის დამფუძნებლები ვალდებული არიან შეასრულოს პროექტით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები. არ გაახმაურონ ამხანაგობის საქმიანობის შედეგად მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

7.2 თითოეული დამფუძნებელი ვალდებულია ამხანაგობის საქმიანობიდან გამომდინარე მოვალეობა შეასრულოს კეთილსინდისიერად.

7.3 ამხანაგობის დამფუძნებელი ვალდებული არიან საამშენებლო დოკუმენტაციის შედგენის დასრულების შემდეგ შეადგინონ დამფუძნებელთა შორის ბინების განაწილების შესახებ სანოტარო აქტი, რომელშიც ენდა მიეთითოს თითოეული მონაწილის კუთვნილი ბინის საერთო ფართი.

7.4 ბინების განაწილების შესახებ სანოტარო აქტის შედგენას საფუძვლად უნდა დაედოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები

7.5 ამხანაგობის ხელმძღვანელი ვალდებულია ფართების განაწილების შესახებ სანოტარო აქტი და სამშენებლო დოკუმენტაცია დაუყოვნებლივ წარუდგინოს საჯარო რეესტრს რეგისტრაციის მიზნით.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. ამ ხელშეკრულების ხელმომწერი მხარეები თავისუფლდებიან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებებისაგან თუ ასეთი შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, რომელთა გადაწყვეტა მათ ძალებს აღემატება.

8.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორსმაჟორულ გარემოებებს განეკუთვნებიან:

- სტიქიური უბედურებები: მიწისძვრა, წყალდიდობა, დამანგრეველი გრიგალი და სხვ.
- სახელმწიფო, ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მიერ ისეთი საკონონმდებლო, კანონქვემდებარე ან ადმინისტრაციული აქტის მიღება, რომლებიც შეუძლებელს გახდის ვალდებულების შესრულებას
- სახელმწიფოს მიერ საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე სათანადო პირობების არსებობისას საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება

მუხლი 9. ამხანაგობიდან გასვლის წესი

9.1. თითოეულ დამფუძნებელს უფლება აქვს გავიდეს ამხანაგობიდან. ერთ-ერთი მონაწილის გასვლა ამხანაგობიდან არ გამოიწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას.

9.2. ამხანაგობიდან გასვლის მსურველმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ამხანაგობის თავმჯდომარეს. გადაწყვეტილება წევრის ამხანაგობიდან გასვლის შესახებ მიღებული უნდა იყოს განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს 45 დღის განმავლობაში.

9.3. წევრს გასვლის შედეგად უკან დაუბრუნდება მის მიერ განხორციელებული შენატანების ფულადი კომპენსაცია იმ ხარჯების გამოკლებით, რაც აუცილებელია გასვლის რეგისტრაციისათვის. ამხანაგობა უფლებამოსილია დააყოვნოს ფულადი კომპენსაციის გაცემა ამხანაგობის წინაშე გამსვლელი წევრის მიერ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ახალი წევრისათვის სათანადო წესით გადაცემამდე.

9.4. ამხანაგობის დამფუძნებლებს შეუძლიათ მოშალონ ხელშეკრულება მათ მიერ განსაზღვრული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადა არ უნდა იყოს 6 თვეზე მეტი), თუკი რომელიმე მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.

მუხლი 10. ერთობლივი საქმიანობის მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი

10.1. ამხანაგობა შექმნილია საცხოვრებელი სახლის აშენების ვადით და იგი არსებობას წყვეტს საცხოვრებელი სახლის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის და სახლის ექსპლოატაციაში მიღების მომენტიდან.

10.2. ამხანაგობის საქმიანობა წყდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ამხანაგობის ერთ-ერთი წევრის გარდაცვალება არ იწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას. მის ადგილს იკავებს მემკვიდრე.

მუხლი 11. დამფუძნებელთა პასუხისმგებლობა

11.1. ამხანაგობა ვალდებულია შეასრულოს მხოლოდ პროექტით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

11.2. ფორს-მაჟორული მდგომარეობის შემთხვევაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები გადავადდება მდგომარეობის დასრულებამდე. ასეთ შემთხვევაში ამხანაგობის წევრებს საჯარიმო სანქციები არ დაერიცხებათ.

11.3. ამხანაგობის წევრები აღიარებენ, რომ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში, რაც გულისხმობს როგორც შენობის აღმართვას და მის ექსპლოატაციაში მიღებას, აგრეთვე, აღმართული შენობის შესაბამისობას მოქმედ ნორმებთან და სტანდარტებთან, აანაზღაურებენ მიყენებულ ზიანს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.4. ამხანაგობის დამფუძნებელი მესაკუთრე წევრი შეიძლება გარიცხული იქნას ამხანაგობიდან თუ იგი არ ემორჩილება და სისტემატიურად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებას, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი ადგება ამხანაგობის დანარჩენ წევრებს და ერთობლივი საქმიანობის მიზანს.

მუხლი 12 „ამხანაგობის" წევრის წილის განკარგვა.

12.1. **ამხანაგობის თითოეულ წევრს და ამხანაგობის თავმჯდომარეს უფლება აქვთ სხვა ნებისმიერი წევრის წერილობითი თანხმობის გარეშე გაასხვისოს თავისი კუთვნილი წილის უფლება ან მისი ნაწილი.**

12.2. წილის ახალი შემძენი ვალდებულია დაეთანხმოს წინამდებარე ხელშეკრულებას ვინაიდან მასზე გადადის წილთან დაკავშირებული ყველა უფლება-მოვალეობა და ვალდებულებები.

მუხლი 13. ამხანაგობის ვადა

13.1. ამხანაგობა შექმნილია საცხოვრებელი სახლის აშენების ვადით და იგი არსებობას წყვეტს საცხოვრებელი სახლის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის და სახლის ექსპლოატაციაში მიღების მომენტიდან.

13.2. ამხანაგობის საქმიანობა ვადაზე ადრე წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, რაც უნდა გაფორმდეს სანოტარო აქტით.

13.3. ამხანაგობის ერთ-ერთი დამფუძნებლის უფლება-უნარიანობის შეწყვეტის შემთხვევაში (გარდაცვალება) მის ადგილს იკავებს მისი მემკვიდრე.

13.4. ამხანაგობა ვალდებულია საცხოვრებელი სახლი ჩააბაროს მშენებლობის დაწყებიდან ერთი (1) წლის ვადაში, ან დამატებით განესაზღვროს ექვსი (6) თვე.

მუხლი 14. ამხანაგობის დოკუმენტაციის

აღრიცხვა

14.1. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია აწარმოოს ჟურნალი, რომელშიც სავალდებულო წესით აღირიცხება შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ამხანაგობის დაფუძნების აქტი;

ბ) ამხანაგობის აქტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება;

გ) საცხოვრებელი სახლის ბინების განაწილების აქტი;

დ) საცხოვრებელი სახლის ბინების განაწილების აქტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება;

ე) ამხანაგობის მიერ დადებული ნებისმიერი ხელშეკრულება და ცვლილებები ამ ხელშეკრულებებში.

ჟურნალი უნდა იყოს ზონარგაყრილი და ბეჭდით დალუქული, თითოეული გვერდი დანომრილი.

ჟურნალში შეიტანება შემდეგი ინფორმაცია:

ა) აქტის დასახელება, შედგენის თარიღი, შინაარსი;

ბ) იმ ნოტარიუსის დასახელება, რომელმაც დაამოწმა აქტი, დამოწმების თარიღი და სარეგისტრაციო ნომერი.

14.2. ამხანაგობის ნებისმიერი წევრი უფლებამოსილია მოითხოვოს ჟურნალის ჩანაწერების გაცნობა. ანალოგიური უფლება აქვს ნოტარიუსს, რომელსაც ამხანაგობასთან დაკავშირებული სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის სჭირდება ინფორმაცია ამხანაგობის მდგომარეობის შესახებ.

14.2. ამხანაგობის დამფუძნებლები თანხმდებიან, რომ ამხანაგობის დაფუძნებისა და ბინების განაწილების აქტები, აგრეთვე ამ აქტებში შეტანილი ცვლილებები სავალდებულო წესით

უნდა წარედგინოს საჯარო რეესტრს და აღნიშნული აქტები საჯაროა – ნებისმიერ მესამე პირს უფლება აქვს მოითხოვოს საკუთარი ხარჯით ამ აქტების ასლების დამზადება.

მუხლი 15. დასკვნითი დებულებანი

15.1. წინამდებარე აქტი ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან და ექვემდებარება საჯარო რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციას.

15.2. ამ ხელშეკრულებაში ცვლილებები შეიტანება წერილობით და ძალაში შედის სანოტარო წესით დამოწმებისთანავე. ამასთან, ცვლილებები უნდა წარედგინოს საჯარო რეესტრს.

15.3. მხარეთა შორის ყველა საკითხი წყდება ურთიერთმოლაპარაკებით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში კი მოქმედი კანონმდებლობით.

15.4. წინამდებარე აქტი შედგენილია **ხუთი** თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს **ნ. გინტურის** სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცათ მხარეებს.

15.5. წინამდებარე აქტის იმ ეგზემპლიარს, რომელიც ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, თან ერთვის დანართი:

1) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.15.02.023.010, განცხადების რეგისტრაცია №882013511852 – 22/10/2013 12:46:27, მომზადების თარიღი: 22/10/2013 13:54:14;
2) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.15.02.023.008, განცხადების რეგისტრაცია №882013497428 – 15/10/2013 11:03:31, მომზადების თარიღი: 18/10/2013 14:31:12;
3) ოქმი დამოწმებული 05.06.2013 წელს ნოტარიუს მაია ბრეგვაძის მიერ რ№130557527 – ასლი – ინახება 10.10.2013 წელს ნოტარიუს ნ. გინტურის მიერ რ№131075378-ით დამოწმებულ დანართ დოკუმენტებში;
4) ოქმი დამოწმებული 05.06.2013 წელს ნოტარიუს მაია ბრეგვაძის მიერ რ№130557711 – ასლი – ინახება 10.10.2013 წელს ნოტარიუს ნ. გინტურის მიერ რ№131075378-ით დამოწმებულ დანართ დოკუმენტებში;
5) ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა "ხორავა 2014"-ის დაფუძნების შესახებ ხელშეკრულება დამოწმებული 10.06.2013 წელს ნოტარიუს მაია ბრეგვაძის მიერ რ№130572711 – ასლი – ინახება 10.10.2013 წელს ნოტარიუს ნ. გინტურის მიერ რ№131075378-ით დამოწმებულ დანართ დოკუმენტებში;
6) ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა "ჯანაშია 2014"-ის დაფუძნების შესახებ ხელშეკრულება დამოწმებული 05.06.2013 წელს ნოტარიუს მაია ბრეგვაძის მიერ რ№130558388 – ასლი – ინახება 10.10.2013 წელს ნოტარიუს ნ. გინტურის მიერ რ№131075378-ით დამოწმებულ დანართ დოკუმენტებში;
7) მინდობილობა დამოწმებული 17.07.2013 წელს ნოტარიუს მაია ბრეგვაძის მიერ რ№130724890 – ასლი – ინახება 10.10.2013 წელს ნოტარიუს ნ. გინტურის მიერ რ№131075378-ით დამოწმებულ დანართ დოკუმენტებში;
8) **შპს "უნივერსალმშენი"-ს** წესდება – ასლი – ინახება 10.10.2013 წელს ნოტარიუს ნ. გინტურის მიერ რ№131075378-ით დამოწმებულ დანართ დოკუმენტებში;
9) **შპს "უნივერსალმშენი"-ს** წესდების ახალი რედაქცია – ინახება სანოტარო ბიუროს არქივში;
10) **შპს "უნივერსალმშენი"-ს** ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან: განაცხადის ნომერი: 622361, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B13055858, ამონაწერის მომზადების თარიღი: 03/06/2013 17:43:00;
11) **შპს "უნივერსალმშენი"-ს** კრების ოქმი დამოწმებული 05.06.2013 წელს ნოტარიუს მაია ბრეგვაძის მიერ რ№130557512 – ასლი – ინახება 10.10.2013 წელს ნოტარიუს ნ. გინტურის მიერ რ№131075378-ით დამოწმებულ დანართ დოკუმენტებში;
12) **ამხანაგობა „ჯანაშია 2014-სა და ამხანაგობა "ხორავა 2014"-ის** დამფუძნებელ წევრთა გაერთიანებული კრების ოქმი - დამოწმებული 2013 წლის 10 ოქტომბერს ნოტარიუს ნ. გინტურის მიერ – ინახება 10.10.2013 წელს ნოტარიუს ნ. გინტურის მიერ რ№131075378-ით დამოწმებულ დანართ დოკუმენტებში.

13) მინდობილობა დამოწმებული 16.07.2013 წელს ნოტარიუს მაია ბრეგვაძის მიერ რ№130716626 – ასლი;

14) ამხანაგობა „ჯანაშია 2014“-ის დამფუძნებელ წევრთა კრების ოქმი - დამოწმებული 2013 წლის 03 დეკემბერს ნოტარიუს ნ. გინტურის მიერ

15.6. გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური: ერთიათას შვიდასორმოცდათერთმეტი (1 751) ლარი და ოთხმოცდაოთხი (84) თეთრი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა №507 (2011 წლის 29 დეკემბერი) სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 23-ე მუხლისა, აგრეთვე დ.ღ.გ. სამასთხუთმეტი (315) ლარი და ოცდაცამეტი (33) თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, ორი (2) ლარი (დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით), თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების №507 39-ე მუხლისა, სულ გადახდილია: ორიათასსამოცდაცხრა (2 069) ლარი და ჩვიდმეტი (17) თეთრი.

15.1. ნოტარიუსმა დამფუძნებლებს წაუკითხა წინამდენარე აქტი, დამფუძნებლებმა წაიკითხეს იგი დანართებითურთ, მოიწონეს და ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერს მას ხელი.

მხარეთა ხელმოწერები:

ნოტარიუსი: _____ / ნ. გინტური /

